

THE WORLD OF **CONSTANT CONNECTION**

[www.magticom.ge](http://www.magticom.ge)

# აქტიური

კონსტანტური კავშირი

3(51)2011






ასკილი. ფირფისარი, ტამპარა. DOG ROSE. TEMPERA ON PLYWOOD. 2005. 79X93

ლეკასის ტექნიკით შესრულებული ნამუშევარი სრულდება ხეზე, რომელიც თავდაპირველად ცარცისა და ხის ნებოს გრუნტით იფარება. შემდეგ მხატვარი ტემპერას საღებავებით სანყის ჩანახატს აკეთებს, რომელსაც ნაწილობრივ ჩამორეცხავს და ისევ თავიდან ხატავს. საბოლოოდ სურათის ზედაპირი კვერცხის გულით იფარება. ამ საკმაოდ რთული და შრომატევადი ტექნიკით შესრულებული ნამუშევარი ფრესკის ასოციაციას ქმნის.

The gesso painting technique involves applying tempera paints to a wooden panel coated with a mix of glue and chalk. Tempera paints are then partially washed down. The artist reintroduces his artistic visions and applies egg yolk all over the canvas to provide a tough finish. This painstaking technique produces a fresco-like radiance.



აკადემიის ბრაფიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. დიპლომის კალმის საინტერესო კომუნა. მერა ატენი წავიდა. ფრანკების ასლებს აკეთებდა. ალბათ, მამის გავლენით... დაბრუნებულ ზედაპირზე ხატვა მოეწონა – ფრანკის ტექნოლოგია გადმოიტანა დაზოგურ მხატვრობაში და სურათის სახე მისცა.

აღმოსავლური მოტივების გამოსდიოდა...

უსწავრად კარგად მიესადაბა მათ.

„ჩემი შემოქმედების რაღაც ეტაპზე შევესვალა მხატვრული აზროვნება, ფართა სიძრავლა მომთხოვა და დავიწყე აღმოსავლური (სპარსული) მინიატურის შესწავლა“ – ამბობდა მხატვარი და კიდეც – „გავშვობაში ლომების მომთვინიერებელი მინდოდა გამოვსულიყავი და კალღების მუშინოდა...“

წელს მისი გარდასვალღებთან ხუთი წელი შესრულდა. მამითქომა მოამზადა და გამოსცა ალბომი, რომელშიც ორასზე მეტი ნამუშევარი შევიდა...

HE STUDIED GRAPHICS AT THE ACADEMY OF ART LEADING TO A VERY INSPIRATIONAL DIPLOMA WORK. THEN HE LEFT FOR ATENI COMMITTING HIMSELF TO MAKING COPIES OF FRESCOS - INSPIRED BY HIS FATHER'S INFLUENCE, PERHAPS. HE TOOK TO PAINTING ON A PRIMED SURFACE AND MADE IT SUITABLE FOR USE IN MACHINE PAINTING AS WELL.

HE SUCCESSFULLY EMBRACED ORIENTAL ART CONCEPTS. "THE TRANSFORMATION THAT OCCURRED IN MY ARTISTIC VISION AT SOME POINT IN MY CAREER MADE ME AWARE OF THE CHALLENGE FACING ME, NAMELY, A FULLER PALETTE OF COLOURS. THUS I TURNED TO ORIENTAL (PERSIAN) MINIATURES" – THE ARTIST IS QUOTED AS SAYING. "MY CHILDHOOD AMBITION WAS TO BECOME A LION TAMER. I ALSO REMEMBER THAT I DREADED DOGS"...

ON THE FIFTH ANNIVERSARY OF HIS DEATH, MAGTICOM COMPILED AND ISSUED HIS ALBUM EMBRACING OVER 200 WORKS.

# მერაბ აბრამიშვილი

M E R A B A B R A M I S H V I L I



მარტოხელა ბიზონი. ფირფისარი, ტემპერა. LONELY BISON. TEMPERA ON PLYWOOD. 2000. 77,5X153

**ნათელა ღარიბაშვილი, დედა:**

სკოლის ასაკამდე ისე ხატავდა, როგორც ყველა ბავშვი. სკოლის ასაკიდან კი უკვე შეინიშნებოდა, რომ მას მიდრეკილება ჰქონდა ხელოვნებისადმი. ბავშვობაში კარგად ძერწავდა, სკოლაშიც კი გამოფინეს მისი ნამუშევრები. ძერწვა დიდდამ შეასწავლა. დიდდა კარგად ქარგავდა, ხატავდა და ძერწავდა. კარგად ხატავდა მერაბის მამაც.

მერაბი 47-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა. მესამე კლასამდე ხუთებზე, შემდეგ კი აურია, რადგან კლასში ვაჟები სჭარბობდენ და ერთმანეთს აყოლილები იყვნენ. მერაბმა სწავლას ისე მოუკლო, რომ ერთ წელს ერთ მეოთხედში მიღებული ჰქონდა ოცდათერთმეტი ორიანი და ერთი ერთიანი. მშობლები შევშფოთდით და რაკი ბავშვი

**Natela Gharibashvili, mother:**

His paintings in pre-school years were as good as any other child's. It was after enrolment that he displayed an eye for style and a flair for art. He had a deft hand at modeling. His works were even exhibited at school. He owed his modeling skills to his grandma, who was well-schooled in sewing, embroidering and modeling.

Merab attended school N47. At the beginning, his academic merits were excellent. But as he entered his third year in school his diligence slackened off. Boys vastly outnumbered girls in his class which adversely affected the level of discipline. One semester Merab got 31 twos and 1 one - marks that equate to very poor performance. We were terribly upset and, given his commitment to painting, decided to direct him to Nikoladze Art

კარგად ხატავდა და ძერწავდა, გადავწყვიტეთ ნიკოლაძის სასწავლებელში ესწავლა.


მერაბი ძალიან ბევრს კითხულობდა. განსაკუთრებით უყვარდა წიგნები ცხოველებზე. ამიტომ მის შემოქმედებაში ბევრი ნახატია ცხოველებზე.

მისი საყვარელი ნაწარმოები „დონ კიხოტი“ იყო, რომელსაც ისე ხშირად კითხულობდა, რომ ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში ყველაზე დაძველებული სწორედ ეს წიგნია. ძალიან მიკვირს, მის შემოქმედებაში რომ არ აისახა. მერაბისთვის სამაგიდო წიგნი იყო „ბიბლია“. ყოველ წელს კითხულობდა. ამან დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე – უამრავი ნამუშევარი

School. Merab was an avid reader. He found books on animals to be a truly rich and rewarding read. Therefore, the thread running throughout his works is the theme of animals.

Don Quixote was among his most treasured books. In our family library it is the most worn-out book, having spent long hours in Merab's hands. The wonder is that none of Merab's paintings features Don Quixote. Merab poured over the Bible and always kept it handy to go back to and re-read it over and over. Therefore, religious themes underpin all his works.

His father often took him on expeditions. Father taught him that making reproductions of frescoes was one of the keys to making the most of his painting skills. And Merab followed his teaching.



აპაზა. ფირფიტაზე, ტემპერა. LEOPARD. TEMPERA ON PLYWOOD. 2004. 76X120

შექმნა რელიგიურ თემაზე.

მამამისს ხშირად დაჰყავდა ექსპედიციებში. ის ყოველთვის ურჩევდა – თუ გინდა კარგი მხატვარი გამოხვიდე, გააკეთე ფრესკების ასლები და მართლაც, დაუზარებლად აკეთებდა ატენის სიონის ფრესკების ასლებს.

საუკეთესო მამა იყო. სიგიჟემდე უყვარდა შვილები და ანებივრებდა.

შვილებივით უყვარდა თავისი ნამუშევრები და ხშირად ამბობდა: რომ არა გაჭირვება, არც ერთ სურათს არ გავყიდდი, რადგან სურათები შვილებივით მიყვარსო. ტიროდა, როცა მხატვრის სახლში, ხანძრის დროს 16 ნახატი დაენვა.

გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე მითხრა: „დედა, სიზმარში ისეთი ლამაზი ანგელოზი ვნახე, ისეთი ფერები იყო, იმ ფერებს აუცილებლად მივიღებ და დაეხატავო“. სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. ვერ მოასწრო იმ ანგელოზის დახატვა.

ძნელია ჩემთვის შვილის გარდაცვალება, ძნელია მისი დავინწყება, ამ ფაქტთან შეგუება, მაგრამ მეამაყება, რომ მისი შემოქმედება სათანადოდ შეფასდა და მერაბი კარგ მხატვრად არის აღიარებული.

**ირაკლი ებრალიძე, ბავშვობის მეგობარი:**

მერაბი 47-ე სკოლაში მეორე კლასში გადმოვიდა. ჩვენ სახლისკენ ერთი გზით, ჩიტაძის დაღმართით მოვდიოდით. მაშინ პიონერთა სასახლეში ჩიტაძის ქუჩიდანაც შეიძლებოდა შესვლა. ჩვენც იქედან გავდიოდით რუსთაველზე. პიონერთა

Fired by zeal he produced reproductions of the frescos of the Ateni Sioni Church.

He was an infatuated father to his children, treating them with excessive indulgence.

But he loved his paintings with the same love he had towards his children. Were it not for economic hardship, he would allow none of his paintings to be sold. He cried tears of blood when 16 of his paintings were burned in the Artists House.

Three days before he died he had a dream in which he saw an angel in a full blaze of colours. He said he wanted to convey those dreamlike colours onto his canvas. Alas, he didn't.

It is impossible to put up with the loss of my son but I feel proud that his works received popular recognition and he is acclaimed as a gifted painter.

**Irakli Ebraliidze, childhood friend:**

Merab was in the second form when he came to our school N47. On our way home we walked together down Chitadze Street, which accessed the Pioneer Palace and led to Rustaveli Avenue. There were a few cages in the palace containing birds. Merab did his first sketches there. He lived in Avlabar, I lived in Sololaki. We shared the same path up to Lenin Square. By this time we had already cultivated common interests. We were both very zealous about travel and read up a series of books on hunting, travel and adventures. We learned a lot about life in the wilderness from books by Joe Hunter and Jim Corbett recounting



შავ-აბასი. ფირფიტაზე, ტემპერა. SHAH ABBAS. TEMPERA ON PLYWOOD. 1994. 60X49,5

სასახლეში რამდენიმე ვოლიერი იყო, სადაც ძირითადად ფრინველები ჰყავდათ. პირველი ჩანახატებიც იქ გააკეთა მერაბმა. მე სოლოლაკში ვცხოვრობდი, მერაბი – ავლაბარში და მაშინდელ ლენინის მოედნამდე ერთად მოვდიოდით. ამ პერიოდში გაგვიჩნდა საერთო ინტერესები, ორივეს ძალიან გვიყვარდა მოგზაურობა. ნავიკითხეთ ნიგნების სერია „ნადირობა, მოგზაურობა, თავგადასავალი“. ჯო ჰანტერისა და ჯიმ კორბეტის ნაწარმოებებიდან და ასეთი შინაარსის ლიტერატურიდან საფუძვლიანად შევისწავლეთ ველურ ბუნებაში ცხოვრების წესები. იოლად ვარჩევდით სხვადასხვა ცხოველის კვალს, ვიცნობდით მათ ჩვევებს და საიდუმლოდ აფრიკაში წასასვლელადაც ვემზადებოდით. მომარაგებული გვქონდა ნივთები, რომლებიც თან უნდა წავსულიყავით. ბათუმიდან გემით ვაპირებდით გამგზავრებას. ეს, ალბათ, III-V კლასის პერიოდია. რა თქმა უნდა, ვერ წავედით. სამაგიეროდ, მთანმინდა და მისი შემოგარენი ფეხით გვქონდა მოვლილი და პატარ-პატარა თავგადასვლები აქაც გადაგვხდა.

ჩვენი მეგობრობა სკოლის შემდეგაც გაგრძელდა. მე უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მერაბი – აკადემიაში. ხან მე ვიყავი მასთან, ხან ის მოდიოდა ჩემთან. ე.წ. „პაუზდკებშიც“ ერთად დავდიოდით. შემდეგ დავოჯახდით და მერაბი ჩემი მეჯვარე გახდა, ჩემი უფროსი ვაჟი მისი ნათლულია.

ხშირად მინახავს მერაბი მუშაობის პროცესში. მიკითხავს, რას ხატავ-მეთქი. პასუხი ყოველთვის იყო – „არ ვიცი“. გარკვეული დროის შემდეგ იკვეთებოდა კონტურები, მერე ამუშავებდა უმცირეს დეტალებს, რომლებიც თვალთაგან ძნელი გასარჩევი იყო. მაგალითად, პანანინა სამოთხის ჩიტს თვალსაც უხატავდა...

#### ციცინო ცერცვაძე, მეუღლე:

სტუდენტური ფილმების ფესტივალზე ვნახე ფილმი „სერაფიტა“, რომელშიც მერაბი თამაშობდა. იქიდან დამამახსოვრდა და როდესაც მწერალთა კავშირში სამუშაოდ მოვიდა, მაშინვე ვიცანი. რამდენიმე თვე იმუშავა... კარგად რომ გავიცანი, მივხვდი – ამ სამსახურზე არ უნდა დათანხმებოდა, მაგრამ მოგვიანებით მითხრა, რომ ჩემ გამო დარჩა.

their hunting experiences. At a young age we became good trackers and could identify animals by their footprints. We were even charting a secret voyage aboard a ship to Africa. Batumi was thought to be the starting point of our Africa-bound cruise. We were then third- or fourth-year schoolboys. Our Africa ambitions did not quite come off... instead we roamed around Mtatsminda neighbourhoods and were pitched into many unexpected adventures.

Our friendship continued to grow after school. I was enrolled at university; Merab attended the Academy of Art. Our friendship was a daily affair. We even went on trips together. Then we created our own families. Merab was my best man and my son's godfather.

I have often seen him engrossed in his work. But he never had any idea what he was painting. Then he would sketch contour lines, define shapes and edges, make details, even the smallest ones, look more subtle and dramatic, for example he made prominently visible even the eye of a tiny bird-of-paradise.

#### Tsitsino Tsertsvadze, wife:

My first memory of Merab is watching him acting in 'Serafita' during the Student Film Festival. I immediately recognized his face when he came to work at the Writers Union. He remained there for

a few months. When I got to know him inside out I guessed this job was not the right fit for him but later he confessed he had stayed working there for my sake.

He was a person radiating warmth and tenderness, whom, however banal it may sound, I was fortunate enough to meet. It is an intense underlying feeling, somewhere deep down, underneath.



პროსტიტუტკა. ფირფიტაზე, ტემპერა.  
PROSTITUTE. TEMPERA ON PLYWOOD. 1999. 73X37



ბატონი გურამი ხომ განსაკუთრებული პიროვნება იყო. როგორც ყველა შემოქმედი ადამიანი, მერაბი ძალიან მოუსვენარი, მაძიებელი და ექსპერიმენტატორიც კი იყო. უცებ ისე შეცვლიდა ფერს, პალიტრას, გაგიკვირდებოდა. შინაარსობრივი და ჟანრობრივი მხარის გარდა, გამომსახველობაც იცვლებოდა. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ზუსტად იმ დინამიკაში იყო მოცემული, რასაც ავტორი გვთავაზობდა. და ჩვენც ისევე ვღებულობდით. შეიძლება სუბიექტური ვარ, ზედმეტად მიყვარს მისი შემოქმედება და პიროვნება, მაგრამ რა ვქნა, თვით ხელოვნებაც ხომ სუბიექტურია.

ძალიან ბავშვური იყო და უშუალო. კარგი იუმორი ჰქონდა. თავდადებულად შრომობდა (ჯერ მარტო გრუნტებს როგორ

have had him as a friend. I cannot trace our friendship to school or academy years. Our friendship was born out of a common interest in painting.

**Keti Kordzakhia, art critic:**

Merab? I love him immensely... Yes, I say "love" instead of "loved"... Magti Club recently held a presentation of his album... everyone tried to suffuse him with words of warmth and affection. Only I kept quiet in a futile effort to summon up the right words. We used to call him our bison. Indeed, he was very much like a lonely bison... we often recall his heart-tugging harmonica solo in Tkvarcheli. We didn't see him every day but it doesn't mean we could live without him for a day. His death left a huge aching hole in our hearts.



პიანინო. ფირფიტარი, ტემპერა. PIANO. TEMPERA ON PLYWOOD. 2004. 118X169

აკეთებდა?!). ძალიან დიდი დიაპაზონის ადამიანი, თავგადადებული მხატვარი იყო.

და ყველაზე მთავარი, რაც აუცილებლად უნდა ვთქვა – ყველაზე მეტად ვისიც მჯეროდა მხატვრობასა და ზოგადად ცხოვრებაში, ეს მერაბ აბრამიშვილია. ვამაყობ, რომ მეგობრები ვიყავით. ჩვენი მეგობრობა არც სკოლიდან მოდიოდა, არც აკადემიიდან, ჩვენი მეგობრობა მხატვრობამ განაპირობა.


**ქეთი კორძახია, ხელოვნებათმცოდნე:**

მერაბი? ძალიან მიყვარს... ძალიან. „მიყვარს“ ვამბობ და არა „მიყვარდა“... ამას წინათ მისი ალბომის პრეზენტაცია იყო „მაგთი კლუბში“... ყველა მოეფერა. მე ვერა... ვერაფერი ვერ ვთქვი... ჩვენი ბიზონია – ასე ეძახდნენ... მარტოხელა ბიზონი იყო მართლა... ხშირად ვიხსენებთ ხოლმე ტყემლოვანში ტუჩის გარმონით „როქი როქუმს“ რომ უბერავდა. ბოლო დროს აღარ გვქონდა ყოველდღიური ურთიერთობა, მაგრამ მერაბის გარეშე არც ერთი დღე არ გვიცხოვრია... რა ვთქვა?! თუკი

He had a black Chokha (traditional male dress) which fit him perfectly. One day during Tbilisoba celebrations Chokha-clad Merab walked into a tavern accompanied by Robert Parsons wearing a Scottish kilt. Fancy these two handsome men in their much-beloved apparel... Merab was so stingy with words. Robert, in contrast, waxed eloquent - in flowing Georgian! Merab found it riotously amusing.

My husband Irakli Sutidze still nurses a pain for Merab... Merab is an excruciating pain... I don't expect Irakli to utter a word about him... I recall the day when I sent these two "idiots" to Paris to put on an exhibition of their paintings in the vicinity of the Picasso museum. Two days later I arrived in Paris myself and caught Merab walking from the zoo. He was taken aback by the sight of me... his paintings are marked by undisputed genius... and he died because he felt he no longer belonged here... I miss him terribly... love him endlessly...

Thank goodness he left behind a remarkable family. Now we are united with his offspring through a sense of kinship. P.S. Irakli Sutidze will say nothing about Merab. I will say instead:



სამოთხე. ფირფისარი, ტემპერა. PARADISE. TEMPERA ON PLYWOOD. 2005. 75X75

ვინმე დაგვაკლდა ამ ცხოვრებაში – ეს მერაბია.

შავი ჩოხა ჰქონდა. ძალიან უხდებოდა. ერთხელ, თბილისობაზე, სადღაც სახინკლეში ჩასულა გამონწყობილი. რობერტ პარსონსი ახლდა, შოტლანდიელი – კილტი. წარმოვიდგენიათ, რა შესახებები იყვნენ? ორი ლამაზი მამაკაცი... ორივე თავის საყვარელ ტანსაცმელში... მერაბს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, რობერტი გამოსულა სიტყვით – თავანკარა ქართულით... თვითონ ძალიან ხალისობდა ამ ამბის გამო...

ჩემი მეუღლის, ირაკლი სუთიძისთვის, მერაბი ტკივილია... ძალიან ტკივილი... არც გამიკვირდება, არაფერი რომ არ თქვას... არ დამაინყდება, ეს ორი „იდიოტი“ პარიზში გავამგზავრე. სერიოზული გამოფენა ჰქონდათ პიკასოს მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე. ორ დღეში მოულოდნელად თავზე დავადექი. მობორილობს მერაბი ზოოპარკიდან და მე ქუჩაში ვხვდები. შოკი ჰქონდა... რა გითხრათ, აქ ალბათ, მის მხატვრობაზე უნდა ვილაპარაკოთ, არა?! ეგ სადავო თემა არ არის... მართლა მაგარი იყო!

Irakli's love for him was enormous.

#### Levan Abramishvili, son:

I had some difficulty at first occupying my father's studio. It was packed with father's artworks, which we later moved to our house. The studio became desolate and deserted. I was a first-year student of the Academy then, not even a newcomer artist. I hung my paintings on the walls and suddenly I started to feel strange about myself. But I gradually overcame this feeling. Father gave the studio a certain aura of diligence. You just found yourself locked into your work there and could not escape it.

I am incredibly lucky to be the son of an accomplished painter. He still guides me along the right paths with his works and his counsel. I never imitate him. Anyway, I can't break free from his influence. They say I perfectly capture the spirit of Merab's paintings. He never lavished me with his counsel, but was always on hand to give me the sound advice I needed.

Father had a keen eye for detail. No detail was too small to escape his attention. As Gia Khutsishvili's student, I made a great

არგუმენტირებული ყველანაირად... ეჭვი მაქვს, აღარ უნდოდა აქ ყოფნა... ამიტომ გარდაიცვალა... ძალიან მენატრება... და ისევ ძალიან მიყვარს...

მადლობა უფალს – არაჩვეულებრივი ოჯახი დატოვა. ჩახუტება მის შვილებთანაც შეიძლება...

**P.S.** ირაკლი სუთიძე მერაბზე არაფერს გეტყვით... მე გეტყვით – ძალიან უყვარდა...

**ლევან აბრამიშვილი, შვილი:**

ბუნებრივია, თავიდან მამის სახელოსნოში რომ შევედი, გამიძნელდა. სახელოსნო სავსე იყო მამას ნახატებით. მერე სურათები სახლში გადავიტანეთ. დაცარიელდა იქაურობა. მაშინ აკადემიის პირველ კურსზე ვსწავლობდი, ჯერ დამწყები მხატვარიც კი არ ვიყავი. სახელოსნოში ჩემი ნახატები დავკიდე. ძალიან უცნაური გრძნობა იყო. ნელ-ნელა შევეგუე ამას. მართალია, რომ ამბობენ სული ტრიალებსო. მამას სახელოსნოში თითქოს შრომის აურაა, გინდა, არ გინდა, იქ რომ ადიხარ, ძალაუნებურად მუშაობ.

გამიმართლა ასეთი დიდი მხატვრის შვილი რომ ვარ. მისი რჩევები და მისი ნახატები ყოველთვის მეხმარება. მართალია, არ ვბაძავ, მაგრამ გავლენას მაინც ვერ გავურბივარ. ამიტომ მეუბნებიან, განწყობით გავხარო. ბევრ რჩევას არ მაძლევდა, მაგრამ, რასაც მირჩევდა, ძალიან მნიშვნელოვანი და სწორი იყო.

მოგეხსენებათ, როგორი მონინებით ეპყრობოდა მამა უმცირეს დეტალებსაც კი. მისთვის არ არსებობდა, როგორც ამბობენ „დიდი და მცირე როლი“, ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა დეტალებისადმი. როცა გაა ხუციშვილთან ვემზადებოდი, ბევრ ჩანახატს ვაკეთებდი. გავაკეთებდი ჩანახატს და, ვთქვით, ხეს მივაფუჩეჩებდი. მამა მეტყოდა, პატივი უნდა სცე ამ ხის ყოველ ტოტსო. ეს რჩევები ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. შეიძლება გქონდეს სუსტი ან ძლიერი ნახატი, მაგრამ „გახალტურებული“ – არა. ასე იყო მამა და მეც ვცდილობ არ „გავახალტურო“.

როგორი მამა იყო? ერთხელ დედაჩემმა ვილაცას უთხრა – გიჟი მამააო. მართლა „გიჟი“ მამა იყო. ერთად ვთამაშობდით, დიდ დროს ვატარებდით ერთად. ძალიან მიყვარდა ატენში ჩასვლა, იმიტომ რომ იქ სულ ერთად ვიყავით. ის სახლში იჯდა და მუშაობდა. ჩვენ კი ვისხედით და ვუყურებდით. იქ გავიგე, რა არის მხატვარი და მხატვრობა. მამა მხატვარი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არც მე ავირჩევდი ამ გზას.

**ზაირა ბერელიძე, გალერისტი:**

დიდხანს ვფიქრობდი, რა მეთქვა. ძნელია ილაპარაკო მეგობარზე, რომელიც უეცრად „ნავიდა“...

როცა ვიგონებ ჩვენს ცხოვრებისეულ ურთიერთობას, ის უკვე მარადიულობის მონაპოვარია და დროს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.

აღამიანი მოდის ამქვეყნად, თავის კუთვნილ გზას

number of sketches. I was often hasty and offhand with some element, e.g. a tree. "Every branch of the tree is crying for your attention – father used to say - You may end up with strong or weak paintings but you should never just throw something together". And I took his advice: I never produce "throw-togethers".

Mother described him as a wildly indulgent father. And indeed he was such – playing and spending a lot of time with us. I adored our trips to Ateni where there was a spirit of family togetherness. Father stayed home pushing his brush across the canvas, with us flocking around him and watching. It was there I gained an illuminating insight into the painter's world. If my father had not been a painter I would have never set out on this path.


**Zaira Berelidze, gallerist:**

I have difficulty finding the right words to describe my friend who has stepped into eternity...

Our relationship is already part of eternal life. Time in this



ყვავილი. ფირფიტაზე, ტემპერა.  
FLOWER. TEMPERA ON PLYWOOD. 2004. 153X76,5



სამასი არაგველი. ფირფიტაზე, ტემპერა. 300 ARAGVIAN WARRIORS. TEMPERA ON PLYWOOD. 1995. 77,5X77,5

გაივლის, რაღაცას შექმნის ან არ შექმნის... მიდის...

ძალიან ბევრი რამ ითქმება, დაინერება მერაბ აბრამიშვილის მხატვრობის, შემოქმედების შესახებ. ამ შემთხვევაში ყველაფერ ამას გვერდს ავუვლი... ორიოდე სიტყვით მინდა გითხრათ, თუ რა ბედნიერია მერაბი – მისი ცხოვრება, შემოქმედება ამქვეყნად დაუსრულებლად გრძელდება...

– რა მაგარი ბიჭია – ჩაილაპარაკა ლევან ხარანაულმა და მის მზერას გადაყოლე თვალი. გალერეის სიღრმეში ლევან აბრამიშვილი მეგობრებს რაღაც სახალისო ამბავს უყვებოდა.

– იცი, ყველა თვისება, რაც მერაბს ჰქონდა: ნიჭი, რაინდობა, ზრდილობა, იუმორი, კეთილშობილება – ეს ყველაფერი ლევანშია გადმოსული...

– ლევან, ერთი წუთით დამელოდე – გასძახა ხარანაულმა და გარეთ გავიდა. ცოტა ხანში შემოვიდა და თავისი კატალოგი, რომელიც იმ წუთში მოიტანა და ხეირიანად არც კი ჰქონდა თავად ნანახი, ლევანს გაუწოდა:

– ეს შენ. მამაშენი გვიან გავიცანი, ვერ მოვასწარი...

მივხვდი – ვერც ჩვენ მოვასწარი...

case does not matter...

Man is born in this world to tread his own path... to make what he wishes to make out of his life or not to make anything at all...

A lot still remains to be said or written about Merab Abramishvili and his paintings. For my part, I'll just say that Merab is a blissfully happy person: he and his art continue to live on endlessly, endlessly...

- What a tough guy – I heard Levan Kharnauli say and followed his glance to see Levan Abramishvili in the depths of the gallery relating some story with great enthusiasm.

- Merab's personality traits: talent, chivalry, politeness, humour, benevolence have all spilled over into Levan.

- Levan, wait a minute – Kharnauli walked out and came back with his catalogue, which he had just seen.

- It is for you. I had barely been acquainted with your father when he died...

I suddenly realized: we all had barely been acquainted with him...

ფოტო: ბია ჩხატარაშვილი PHOTOS BY GIA CHKHATARASHVILI